22 Δεκεμβρίου 2009

რატომ არის ბერი იოსების ღიმილი მარადიულობიდან? (Γεωργιανά, Georgian)

Ξένες γλώσσες / ქართულ ენაზე

პატივცემულო ბატონო პაპანიკოლაუ,

ბერი იოსების დასაფლავებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, თქვენს ვებ-საიტზე გამოაქვეყნეთ სტატია სათაურით: „ნეტარი ბერი იოსებ ვატოპედელის გარდაცვალება – ღიმილი მარადიულობიდან,“ სადაც მოკლედ აღწერდით ამ შემთხვევას რამდენიმე ფოტოსურათის თანხლებით. განსვენებულის ფოტოსურათმა, მომღიმარმა არა მარტო ბაგეებით, არამედ მთელი სახის გამომეტყველებით, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ფოტოსურათს ვხვდებით მრავალ ვებ-საიტზე, სხვადასხვა პუბლიკაციებსა თუ სტატიებში. და მართლაც გვინახავს მიცვალებულნი ნათელი სახით, მშვიდი გამომეტყველებით, დიდი განსვენებით, მაგრამ ღიმილით? სულიერი მამები ამბობენ, რომ სიკვდილის ჟამი შემზარავია ადამიანისათვის. სხვა მხვრივ პატერიკში

ვკითხულობთ, რომ სულიერ ცხოვრებაში უფრო მეტად წარმატებულნი, თავმდაბლობის გამო, არ თამამდებობდნენ სანამ არ მიაღწევდნენ ახალ ცხოვრებას, სადაც არ არის საშიშროება. გარდა ამისა ბერი იოსები გულით ავადმყოფობდა და ავადმყოფობის გამო ძალიან გაწვალებული იყო. აბა როგორ გარდაიცვალა მომღიმარი? პასუხი ნათელია: **არა**, არ მიიცვალა მომღიმარი, **არამედ გაიღიმა გარდაცვალების შემდეგ**. (περισσότερα...)